ხაშურის მოამბე

№5 (427) 12 თებერვალი, ორშაბათი, 2024 წელი

84 ხმით 10-ის წინააღმდეგ - პარლამენტმა მთავრობის განახლებული შემადგენლობა დაამტკიცა: ირაკლი კობახიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრია

პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა.

84 ხმით, 10-ის წინააღმდეგ - ასეთი შედეგით დამტკიცდა მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს.

პრემიერ-მინისტრის გარდა, ცვლილება მხოლოდ თავდაცვის უწყებას შეეხო - თავდაცვის მინისტრის პოსტზე ჯუანშერ ბურჭულაძე ირაკლი ჩიქოვანმა შეცვალა.

მთავრობა შემდეგი შემადგენლობით დამტკიცდა:

პრემიერ-მინისტრი - ირაკლი კობახიძე;

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი – გიორგი ამილახვარი;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – ოთარ შამუგია;

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – ლევან დავითაშვილი;

თავდაცვის მინისტრი – ირაკლი ჩიქოვანი;

იუსტიციის მინისტრი – რატი ბრეგაძე;

კულტურისა და სპორტის მინისტრი – თეა წულუკიანი;

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – ზურაბ აზარაშვილი;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – ირაკლი ქარსელაძე;

საგარეო საქმეთა მინისტრი – ილია დარჩიაშვილი;

ფინანსთა მინისტრი – ლაშა ხუციშვილი;

შინაგან საქმეთა მინისტრი - ვახტანგ გომელაური;

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – თეა ახვლედიანი.

სტიქია გვიტევს... ზარალი დიდია

„ბუნება მბრძანებელია“... ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ ამბობდა დიდი ვაჟაამსიტყვებს. თუმცა, მანამდეც და მის მერეც, ფაქტობრივად, არ დარჩენილა ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწე, თუ რიგითი მოქალაქე, რომელიც სხვადასხვა კონტესტში არ იმეორებდა თუ იმეორებს ამ სიტყვების პერიფრაზს და ხმამაღალ შეგონებებს, რომ ბუნებასთან უხეში მოქცევა დაუშვებელია, რომ მის ცოცხალ ორგანიზმს თუ რაიმე ტკივილს მივაყენებთ, იგი ათმაგად

გვაზღვევინებს. რომ მთელი მსოფლიო უნდა დაირაზმოს და კლიმატური ცვლილებების რაიმე პრევენცია მოვახდინოთ და ათასი მსგავსი რამ. და რა მერე? ნელიწადი არ გავა, რომ უმაღლესი დონის შეხვედრები არ გაიმართოს ამ თემაზე, სამიტი სამიტზე ეწყობა, მსოფლიო ლიდერები დამწუხრებული სახით ხვდებიან ერთმანეთს და მსჯელობენ და მსჯელობენ. შემდეგ დაიშლებიან და მომავალ წელს ისევ ხვდებიან, რომ.. იმსჯელონ. გსმენიათ ვინმეს, რაიმე ხელშესახები გაკეთებული? კი, წვრილ-წვრილი საკითხები „გვარდება“, მაგალითად, მაცივარში ფრეონის ჩასხმა უნდა აიკრძალოს,

(გაგრძელება II გვერდზე)

სტიქია გვიტევს... ზარალი დიდია

(გაგრძელება)

რადგან ჰაერს აზიანებს, ან მანქანის გამონაბოლქვი 10 პროცენტით უნდა დაიწიოს, თითქოს რა პროცენტიც დარჩა, პირდაპირ მალამოა გარემოსთვის და ა.შ. გლობალური კი-არაფერი. ან სად სცალიათ ამისთვის? პუტინისნაირი ტვინგამორეცხილებისათვის (მსოფლიოში კი ძალიან ბევრია მისნაირი) ახლა მთავარი სხვისი მიწების მიტაცება და ტერიტორიების გადანაწილების ავანგარდში ყოფნაა. ვის ახსოვს ჩვენი საცოდავი პლანეტა, რომელიც ადამიანებმა, პირდაპირი მნიშვნელობით, გააუპატიურეს: გაჩეხეს მილიონობით ჰექტარი ტყე, კალაპოტები შეუცვალეს მდინარეებს. ამოწყვიტეს ასევე მილიონობით გარეული ცხოველი, თან ისე თითქოს, მათი საცოდაობით აღარ არიან და სათუთად უჩენენ ადგილს, ათ თუ ოც რომელიმე გადარჩენილ სახეობას, „წითელ წიგნში“.

ბუნება კი განრისხებული სახით უყურებს ამ ბრიყვ კაცობრიობას და დრო და დრო, გაფრთხილების სახით, ისეთ სტიქიურ „ქვემეხებს“ გვესვრის, ათასების სიცოცხლე რომ ეწირება. ბუნებრივი კატაკლიზმების რიცხვი გეომეტრიული პროგრესით მატულობს-დღე არ გავა, რომ პლანეტის რომელიმე რეგიონში ან გლობალური ხანძარი, ან წყალდიდობა, ან დამანგრეველი ცუნამი, ან მრისხანე ვულკანის ამოფრქვევა და სხვა მსგავსი უბედურება არ დაატყდეს ადამიანებს, მაგრამ ისევ მერე, რა! „ჰომო საპიენსი“ (ამ სახელიდან გამომდინარე, როგორ ნაზ არსებასთან გვაქვს საქმე) ძველებურად აგრძელებს თავის ძალადობას ბუნების მიმართ და საშინელი შედეგებიც არ სრულდება.

არ მეგონა, თუ ამხელა შესავალი გამომივიდოდა, მაგრამ ისე ვარ შეძრწუნებული ჩვენს მუნიციპალიტეტში და ზოგადად, მთელ ქვეყანაში მომხდარი სტიქიური უბედურებების მასშტაბით, რომ თითქოს „ფურცელთან მონოლოგში“ ვეძებ შვებას. მაგრამ სადაა ეს ნანატრი შვება? ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამოგვიგლოვია შოვის ტრაგედია და აგერ, ბაღდათის ტრაგედია დაგვატყდა თავს, სადაც უცოდველი ოჯახები წალეკა სტიქიამ, ისე რომ, მათი ცხედრების პოვნა გახდა სანატრელი. ბუნებამ კიდევ ერთხელ მოიქნია ცელი, კიდევ ერთხელ ჩაგვაცვა შავი ძაძები და კიდევ ერთხელ გაგვაფრთხილა, რომ კლიმატურმა ცვლილებებმა, წყალბადის ბომბზე უარესი შედეგი შეიძლება დადოს. არადა, ეს კლიმატური ცვლილება, საქართველოს სხვა რეგიონებისა რა გითხრათ, მაგრამ ჩვენს მუნიციპალიტეტში პირდაპირ ხელის გულზე დევს. შუა იანვარში თუ თებერვლის დასაწყისში, კოკისპირული წვიმა, თან დღეებგადაბმული, ასაკოვნებსაც არ ახსოვთ. ამ დროს, ხაშურში, 15-20 გრადუსიან ყინვასთან ერთად, მეტრი-მეტრანახევრიანი თოვლი იდო. ან ვინმეს ახსოვს, როგორც შარშან და შარშანწინ, აპრილის პირველ რიცხვებში დაწყებული წვიმა ივნისში დასრულებულიყო? ან გსმენიათ ვინმეს, რომ მთელს მუნიციპალიტეტში 100 კილოგრამი ყურძენიც არ მოსულიყო? სხვის ნათქვამს არ ვამბობ, ჩემს ეზოში, ახალ წელს, ყოჩივარდამ იფეთქა, ყვავილებს რას ვერჩი, მოვეფერე კიდეც, მაგრამ კარგის მანიშნებელი რომ არ იყო, მაშინვე ვიგუმანე. ახლაც, რაც ხაშურში მოხდა, რა თქმა უნდა, ამ ცვლილებების გამოძახილია, რომელმაც რადიკალურად შეცვალა რაიონში არსებული კლიმატურ „სტატუსკვო“. მივყვეთ

(დასასრული VI გვერდზე)

მინდია ქურდაძე: არჩევნების ახალ სისტემას მთელი რიგი პრიორიტეტები აქვს

ცნობილია საპარლამენტო არჩევნების თარიღი. საქართველოში საპარლამენტო აღცევნები 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩაინიშნა. 35 - ე ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **მინდია ქურდაძე** მომავალ არჩევნებსა და კანონმდებლის მიერ დაწესებულ საარჩევნო პროცედურების მნიშვნელოვან ცვლილებებზე გვესაუბრება.

- წელს, პირველად საქართველოში, არჩევნები ელექტრონული წესით ჩატარდება.

მიმდინარეობს წინასაარჩევნო პროცედურების მომზადება. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი იქნება 17. აქედან რვა მათგანს აირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია, დანარჩრენ წევრებს კი დანიშნავენ შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი პარტიები.

როგორც კანონმდებელმა დააწესა, საუბნო საარჩევნო კომისიის არჩეული 8 წევრი უნდა ფლობდეს სერთიფიკატს, რომელიც 2 სახისაა: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის. ჩატარდა გამოცდები, ამჟამადაც მიმდინარეობს და არჩევნებამდე კიდევ ორჯერ ჩატარდება სასერთიფიკატო გამოცდები. ასევე კანონმდებელმა დააწესა, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება ახალი, ელექტრონული ტექნოლოგიებით და საქართველოს მოსახლეობის ამომჩეველთა არანაკლებ 70 პროცენტი მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. რეალურად კი, საპარლამენტო არჩევნებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ამომჩეველთა საერთო რაოდენობის 90 პროცენტამდე მიიღებს მონაწილეობას.

-- ამომრჩეველთა 10 პროცენტი? -

- გასულ წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტში, 52 უბნის ოპტიმიზაციის შედეგად, 38 უბანი დარჩა. წელს საპარლამენტო აჩევნები 29 უბანზე ჩატარდება ახალი ტექნოლოგიებით, 9 უბანზე კი ტრადიციული, ძველი წესით. მათ შორის იქნებიან: ბრილის, ალის, ქინძათის, ბროლოსანის, წაღვლის, ყელეთის და ხალების უბნები. ამის მიზეზია ის, რომ კანონით განისაზღვრა უბნები, სადაც შეიძლება ჩატარდეს არჩევნები ახალი ტექნოლოგიებით. ამისათვის ის უნდა პასუხობდეს ორ კრიტერიუმს. კერძოდ, მანძილი უბნის ცენტრიდან ოლქამდე არ უნდა იყოს 20 კილომეტრზე მეტი და მეორე: ამომრჩეველთა რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 300 ამომრჩეველს. განისაზღვრა ამომრჩეველთა რაოდენობაც იმ უბნებზე, სადაც ახალი ტექნოლოგიებით ჩატარდება არჩევნები და ეს რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 3000 ამომრჩეველს.

ახალი ტექნოლოგიები მოიცავს მთელ რიგ ცვლილებას. არჩევნებისათვის განკუთვნილი ელექტრონული აპარატები ორი სახისაა: ვერიფიკაციის და ხმის მთვლელი აპარატი. უბანზე იქნება 2 ხმის მთვლელი და ყოველ 700 ამომრჩეველზე ერთი ვერიფიკაციის აპარატი. თუმცა სულ მცირე 2 ვერიფიკაციის აპარატია გათვალისწინებული თითო უბანზე.

რას ნიშნავს ვერიფიკაცია? ვერიფიკაცია ნიშნავს პიროვნების დადასტურებას პირადობის მოწმობის მეშვეობით. ამომრჩეველი შედის უბანზე, პირადობას წარუდგენს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს. იგი ჩამოატარებს პირადობის მოწმობას ვერიფიკაციის აპარატზე, რომლის მეშვეობით მოხდება პიროვნეის დადასტურება, ამოდის ქვითარი, სადაც ამომჩეველი მოაწერს ხელს, დაადასტურებს არჩევნებში მონაწილეობას. შემდეგ ქვითარი მოთავსდება სპეციალურ გაუმჭვირვალე ყუთში, ანონიმურობის დაცულობისთვის. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, ვთქვათ აიდი ბარათი არ იკითხება, ან ძველი პირადობის მოწმობა აქვს? ამ შემთხვევაში ამომრჩევლის პირადი ნომრის შეყვანა ვერიფიკაციის აპარატში ხდება ხელით და ამოვა ფოტოსურათი, პირადი მონაცემები. ამის შემდეგ ამომრჩეველს ეძლევა ბიულეტენი, შედის კაბინაში, სადაც, არჩეული საარჩევნო სუბიექტის წინ, სპეციალური მარკერით აფერადებს წრეს, დებს ჩარჩო კონვერტში, გამოდის კაბინიდან და ათავსებს მთვლელ აპარატში. მთვლელი აპარატი კითხულობს მხოლოდ გაფერადებულ წრეს. ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად, თუ გაფერადებულია ორი ან მეტი წრე, ან - არცერთი. ასევე, თუ ამომრჩეველი გააფერადებს სასურველ წრეს და სხვას გადახაზავს, ასეთი ბიულეტენიც ჩაითვლება ბათილად, რადგან აპარატი გადახაზულ წრეს აღიქვამს როგორც სუბიექტზე მიცემულ ხმას. მთვლელი აპარატი სხვა უბნის ბიულეტენს არ მიიღებს.

ელექტრონული აპარატის ჩართვას, ფუნქციონირებას და დახურვას ახდენს საუბნო საარჩენო კომისიის თავმჯდომარე სპეციალური კოდის მეშვეობით. მას შემდეგ, რაც ხმის მთვლელი აპარატი დაითვლის ხმებს, აპარატიდან, ამოდის ქაღალდის შემაჯამებელი ქვითარი, ამის შემდეგ, ხმის მთვლელი აპარატიდან მეხსიერების ბარათის საშუალებით, ინფორმაცია გადადის პლანშეტში და ეგზავნება ცესკოს. ანუ ცესკომ წინასწარი შედეგები დროის მცირე მონაკვეთში იცის და ასაჯაროებს. ყოველივე ამის შემდეგ, საარჩევნო ყუთები იხსნება და ხდება ბიულეტენების ხელით გადათვლა.

უნდა ითქვას, რომ ელექტრონული აპარატები არ არის დაკავშირებული ინტერნეტთან და არ არსებობს კიბერ ჩარევის საფრთხე. ერთადერთი აპარატურა, რომელიც დაკავშირებულია დაცულ ინტერნეტთან, ეს არის პლანშეტი, რომლითაც იგზავნება ცესკოში უბნიდან მონაცემები, აქტივობა და შემაჯამებელი ოქმის წინასწარი შედეგი. ესეც სიახლეა წლევანდელ არჩევნებში.

- ბატონო მინდია, ბუნებრივია, სიახლეების დანერგვა საჭიროებს შესაბამისი კადრის დატრენინგებას, ამომრჩევლის ინფორმირებას საარჩევნო პროცედურების შესახებ...

საუბნო საარჩევნო კომისიამ ჩაატარა საინფორმაციო კამპანია, ამომრჩევლისათვის საარჩევნო ახალი ტექნოლოგიების უპირატესობების გაცნობის მიზნით. უპირატესობა და პრიორიტეტია რომ საარჩევნო უბნებზე აღარ არის რიგები, დაძაბულობა და სტრესი, რადგან ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომები, პრაქტიკულად, მინიმუმამდეა დაყვანილი, ხმის მიცემა ხდება სწრაფად, ახასიათებს ოპერატიულობა, ინფორმაციის გადაცემა ხდება ძალიან სწრაფად. არჩევნების დასრულების შემდეგ, ხმის მთვლელი აპარატის მიერ ამოღებული ოქმი, მომენტალურად იგზავნება თბილისში, ცესკოში და ეს არის დასტური იმისა, რომ ცესკომ, არჩევნების დასრულებიდან, რამდენიმე წუთში, უკვე იცის წინასწარი შედეგები. გასულ წლებში აღნიშნული პროცედურა საჭიროებდა რამდენიმე საათს.

ჩვენ უკვე ჩავატარეთ საინფორმაციო კამპანია მუნიციპალიტეტის მერიასთან, საკრებულოსთან, აიპებთან, განათლების სფეროს წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, დაცვის პოლიციასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის სამმართველოსთან. იგეგმება შეხვედრები ენერგოპრო ჯორჯიასთან, სოკარ ჯორჯია ქართლთან, წყალმომარაგების კომპანიასთან და ა. შ. ტრენინგებს უძღვებიან საოლქო საარჩევნო კომისიის ორი სერთიფიცირებული ტრენერი ნათია გოგალაძე და ნატო ქურდაძე.

იმასთან დაკავშირებით კომისიის წევრები გაართმევენ თუ არა თავს ელექტრონულ მოწყობილობას, მათ საარჩევნო პერიოდში ჩაუტარდებათ უამრავი ტრენინგი. შეასწავლიან დეტალურად ელექტრონული აპარატურის მოხმარების წესებს და შედეგად ადვილად გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

- ცვლილებაა საპარლამენტო არჩევნებშიც...

- დიახ, საპარლამენტო არჩევნები მსგავსი წესით პირველად ტარდება საქართველოში. როგორც ვიცით, მოქმედებდა პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩევნები. კანონმდებელმა დააწესა, რომ მაჟორიტარული სისიტემა ამ ეტაპზე აღარ იქნება და ჩატარდება მხოლოდ და მხოლოდ პროპორციული სისტემით. ანუ პარტიული სიებით. ასეთ შემთხვევაში მეორე ტური აღარ იქნება. პარტიამ უნდა გადალახოს დაწესებული ბარიერი, საარჩევნო უბნებთან მისული ამომრჩეველთა რაოდენობის ხუთ პროცენტი.

- მოცემული დროისათვის რა სამუშაოები მიმდინარეობს საოლქო კომისიაში?

- ამ ეტაპზე ჩვენ ვამოწმებთ საარჩევნო უბნის ფართებს, ზოგან ეს ფართი არის ცოტა პრობლემური და ჩვენ ამ საკითხის დალაგება გვინდა. ახალი ტექნოლოგიებით სადაც ჩატარდება არცევნები, ის უბანი უნდა პასუხობდეს მთელ რიგ კრიტერიუმებს.

- ბატონო მინდია ცვლილება იქნება საარჩევნო უბნებშიც?

- კი, ამჟამად ხაშურის მეორე საჯარო სკოლაში რემონტია და იქ საარჩვენო უბნის მოწყობა ვეღარ მოესწრება. ამიტომ გაერთიანდა ორი უბანი. ძველით მე-11-ე და 46-ე და ცენტრი იქნება ლომოურის ქუჩაზე მდებარე ბაგა-ბაღი. ასევე, ჩუმათელეთის საარჩევნო უბანი არის პრობლემური და შესაძლოა უბანი გადმოვიდეს იტრიის მეოთხე საჯარო სკოლაში. ამის შესახებ ამომრჩეველი იქნება ინფორმირებული.

ცვლილებაა კიდევ ერთი - თუ აქამდე საუბნო საარჩევნო კომისია პირველი შეკრებისთანავე ირჩევდა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს, კანონმდებელმა დააწესა, რომ საოლქო საარჩევნო კომისია უბნების პირველ შეხვედრამდე აირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს. მოხდება უბნებიდან ბიულეტენების გაციფრულება. იმ შემთხვევაში თუ ყველა აპარატურა გამოვა მწყობრიდან, საარჩევნო უბანი, კანონით გათვალისწინებული წესით, უზრუნველყოფს არჩევნების ტრადიციული წესით ჩატარებას. ამ შემთხვევაში უბანი სრულად აღჭურვილია ყველა საჭირო დოკუმენტაციით და ინვენტარით.

- ბატონო მინდია, ბუნებრივია, ახალი ტექნოლოგიების მართვას სჭირდება შესაბამისი სპეციალისტების მომსახურება?

- დიახ, ყველა უბანს ეყოლება აიტი სპეციალისტი. ჩვენ უნდა შევარჩიოთ სასაწყობე ფართი, სადაც დასაწყობდება უბნებზე გასაცემი ელექტრონული მოწყობილობები. არჩევნების დღეს უბნებზე გადანაწილდება, სადაც უბნის აიტი სპეციალისტი იქნება პასუხისმგებელი აპარატურის მუშობაზე. ეს სპეციალისტებიც გაივლიან გადამზადებას.

- როგორ ფიქრობთ, აღნიშნული ცვლილებები ეფექტურს გახდის არჩევნების მიმდინარეობას?

- დიახ, ეს იქნება სიახლე, უფრო ეფექტურად და სწრაფად ჩავატარებთ არჩევნებს. როგორც გითხარით, მთელი რიგი პრიორიტეტები აქვს მას: პროცედურები გამარტივებულია, შემცირებულია რიგები, ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომები, ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის უტყუარობა, გამორიცხავს ამომჩევლის მიერ განმეორებით ხმის მიცემას. ასეთი მცდელობის დროს ვერიფიკაციის აპარატი გამოსცემს სპეციალურ სიგნალს და ტექსტურ შეტყობინებას ორმაგ ვერიფიკაციასთან დაკავშირებით. ასევე, გამორიცხულია სხვა უბნის ამომრჩევლის მისვლა უბანზე. ვერიფიკაციის აპარატებში მხოლოდ კონკრეტული უბნის ამომრჩევლებია შეყვანილი. უბანზე მცირდება პროცედურული დარღვევების რისკი და შესაბამისი დარღვევები, მცირდება სტრესი და უნდობლობა.

თეა ახალკაცი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3,#4)

სასოფლო კაკალი - ადგ.,სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,პანტის მიწების გაგრძელებაა, დიდი კაკალი მდგარა.აქ ხდებოდა ხალხის შეკრება. ახლა კაკალი აღარ არის“.

სართუმალის მიწა - ადგ., სახნავი, სათესი სამხრეთის მხარეს. ,,პირველად აქ დასახლებულან გონგლაძეები. ჩვენს დიდ პაპას ნინია რქმევია. ნინიას მეუღლეს მუთაქაში შენახული ჰქონია მზითვის ოქროს ფული. ამისათვის დაერქვა ეს სახელი“.

ტილიანა - მდინარე სამხრეთის მხარეს. ,,ძალიან პატარა მდინარეა. ზაფხულობით შრება ცოტა ხანს. მდინარეზე ხე ყოფილა გადებული. მოდიდებული ყოფილა. კაცი გადიოდა. ხე გადაბრუნებულა და კაცი წყალში ჩავარდნილა და დამხრჩვალა. ხალხს უთქვამს ამ ტილიანმა როგორ დაახრჩოო“.

ტყის პირები - ადგ., სახნავი, სათესი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,დიდი ტყის პირსაა“.

ფიჭვნარი - ადგ., ტყე, სათესი ჩრდილოეთის მხარეს. ,,დიდ ტყეშიც არის და პატარა ტყეშიც. ახალი გაშენებულია“.

ქვედა უბანი - ადგ; უბანი. ,,აქ გონგლაძეები ცხოვრობდნენ“.

წიფლების ტყე - ადგ., ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,წიფლნარი იყო, ახლა მუხნარია, აქვეა წმინდა გიორგის სალოცავი. გამოქვაბულია და იქ არის სალოცავი“

წმინდა გიორგი - ადგ., სალოცავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

წმინდა მარინე - ადგ., სალოცავი დასავლეთის მხარეს.

სოფელი მცხეთიჯვარი

ბაკანეები//ბაკანაური - ადგ; საძოვარი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჩამოშვევებული ადგილია”.

ბაკანაღელე - ადგ; ღელე, ჩამოედინება სოფელში, ერთვის მდ. ჭერათხეულას.

ბლიაძეების წყარო - ადგ; წყარო აღმოსავლეთის მხარეს.

ბობოკინის ღელე - ადგ; ღელე, ერთვის მდ. ჭერათხეულას მარცხენა მხრიდან. სათავეს იღებს ჩორჩანიდან, ნასოფლარ ბობოკინიდან.

გაბოს ახო - ადგ; მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ხარაზიშვილი იყო”.გეზაურები- ადგ; სახნვი აღმოსავლეთის მხარეს.

დათას მინდორი - ადგ; სათესი, მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ვიღცა ნებიერიძე ყოფილა, დათა რქმევია”

დათიკას ნამოსახლარი – ადგ; მდ. ჭერათხეულას მარცხენა მხარეს.,,გელაშვილის კაცი იყო, მანდ ცხოვრობდა, შემდეგ მცხეთიჯვარში ჩამოსახლდა“.

დათიკოს ღელე - ადგ; ღელე, მდ. ჭერათხეულას მარჯვენა შენაკადი. აქვეა ნამოსახლარები.

დიდველი - ადგ; წყარო, მინდორი, სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,დიდი მინდორი იყო ადრე“.

დიდმიწები - ადგ; სახნავი, ვენახი აღმოსავლეთის მხარეს. ,,დიდი მიწები იყო, როცა ახო გააკეთეს. მანმადე ტყე იყო“.

ვაკეები- ადგ, ტყე.

ვასილის ღელე – ადგ; ღელე მდ. ჭერათხეულას მარჯვენა შენაკადი. ,,მარცხენა მხარეს ნამოსახლარი არის“.

ვაშლის ღელე - ადგ., ღელე.

ვახტანგის ჭალა – ადგ;

ზედაუბანი – უბანი, იგივე ტყის უბანი. ,,სამი მოსახლეა, ორი ხარაიშვილი და ერთი გელაშვილი”.

თაფლიაკლდე - ადგ., კლდე, ღელე.

თელნარი – ადგ; ტყე.

ივანეს ადგილი – ადგ; აღმოსავლეთის მხარეს. ,,ხარაზიშვილი იყო, ის დასახლდა პირველად”.

ივანეს ახო – ადგ; მინდორი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ივანე ხარაზიშვილს გაუჩეხია”.

ივანიკიანთ ახო – ადგ; ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ნოზაძეებისა იყო”.

კალოები – ადგ., აღმოსავლეთის მხარეს.

კახურაული – მდგ; მდინარე, ერთვის მდ. ჭერათხეულას მარჯვენა მხრიდან.

კორღოლების ახო//კორღულები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ხარაზიშვილები იყვნენ და კორღოლების ფუძეს ეძაახდნენ.

კოჭლი ახო – ადგ; ტყე დასავლეთის მხარეს.

კურტანიძეების ნამოსახლარი – ადგ; ნამოსახლარი ჩრდილოეთის მხარეს მდ. ჭერათხეულას მარცხენა მხარეს. ,,კურტნიძეები ცხოვრობდნენ, ბროლოსანში არიან ჩასახლებულნი”.

ლეკის გზა – ადგ. გზა დასავლეთის მხარეს.

ლომისები//ლომისა – ადგ; ნასოფლარი ჩრდილოეთის მხარეს მდ. ჭერათხეულას მარცხენა და მარჯვენა მხარეს. აქვეა წმ. გიორგის ეკლესიების ნანგრევები

ლოპანის გადასასვლელი – ადგ; მდ. ჭერათხეულას მარცხენა მხარეს.

მამუკას სერი – ადგ., ნამოსახლარი მდ. ჭერათხეულას მარჯვენა მხარეს. ,,მამუკას გვარი არ ვიცი, იმერეთიდან ჩამოსული კაცი იყო. შემდეგ აქვე დასახლდნენ გელაშვილები, რომლებიც გადასახლდნენ კლდისწყაროში”. მოსაცური – ადგ; იგივე კურტანიძეებისა და შუკაკიძეების ნამოსახლარი. მწიფლარის სერი – ადგ; სერი აღმოსავლეთის მხარეს. ,,წიფლარის ტყეა”.

ნამყენების წყარო – ადგ; წყარო.

ნასახლარები – ადგ; აღმოსავლეთის მხარეს. ,,ეს სოფელი (მცხეთიჯვარი –თ. ლ.) იქ ყოფილა ადრე, შემდეგ ჩამოსახლდნენ ქვემოთ, სადაც დღესაა სოფელი, 20-იან წლებში).

ნამოსახლარი – ადგ; ვენახი აღმოსავლეთით ,,იგივე რაც ივანეს ადგილი. ადრე ივანეს ადგილს ვეძახდით, ახლა ნამოსახლარს ვეტყვით“.

ნაურიალები- ადგ., ძველი ნამოსახლარი ჩრდილოეთის მარეს ციხესთან მდ. ჭერათხეულას ორივე მხარეს.

ნაშვავები – ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ მიწა შვავდება“. ნაყიდები – ადგ., სათესი, საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ადრე ვიღაცისგან უყიდნიათ”.

ნაყიდის ღელე – ღელე დასავლეთის მხარეს.

ნაჭარხალი – ადგ., სათესი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ალბათ ჭარხალი ეთესათ”.

ნეკერჩხლები- ადგ., ვენახი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ნეკერჩხლის ხეები იყო”.

ნეფარიძის კლდე – ადგ., კლდე აღმოსავლეთის მხარეს. ,,მამული ჰქონდა ნეფარიძეს, მოშავდა მიწა, დარჩა კლდე და დაარქვეს ნეფარიძის კლდე”.

ნინისის გადასახვევი- ადგ., ჩრილოეთის მხარეს მდ. ჭერათხეულას მარჯვენა მხარეს.

ორკაპის ღელე – ღელე, ერთვის მდ. ჭერათხეულას მარცხენა მხრიდან. ,,ღელე იყო ორად, ისე იყო, რომ ეს სახელწოდება აქვს მიღებული”.

ოსინაანთ წყარო – წყარო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,გზის პირას არის, მუმლაძე იყო”. ,,პაპაჩემს ერქვა ოსინა. პირველად პაპაჩემი დასახლდა ამ სოფელში”.

ოსინას წყარო – იგივე ოსინაანთ წყარო.

პ ი ნ ო ე ბ ი – ადგ., ვენახი სამხრეთის მხარეს. ,,ვაზის ჯიშია, პინოა ჩაყრილი”.

პლენის ახო – ადგ., ტყე დასავლეთის მახრეს.

პლენის ღელე – ღელე მდ. ჭერათხეულას მარჯვენა შენაკადი. ,,ნოზაძის კაცი იყო. პლენი ერქვა”, ,,ნაპლენარი კაცი იყო, ვანო ერქვა”.

სათიხე – ადგილი

საკირეები – ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,კირის ქარხნები იყო”. საკრამიტეები- ადგ., მდ. ჭერათხეულას მარცხენა მხარეს ციხესთან. ,,კრამიტის ქარხანა იყო. ლომისაშიც იჭრებოდა კრამიტი. ძალიან განთქმული იყო აქაური კრამიტი”.

სამყვირალოს წმინდა გიორგი- სალოცავი აღმოსავლეთის მხარეს.

სამხარაძის ნამოსახლარი- ადგ., ნამოსახლარი მდ. ჭერათხეულას მარცხენა მხარეს. სამხარაძეები ცხოვრობდნენ, შემდეგ ჩორჩანაში გადასახლდნენ. სამხარაძეების წყალი- იგივე რაც ჭოშორის წყალი.

საფუტკრე – ადგ; აღმოსავლეთის მხარეს. ,,ფუტკარი თუ ჰყავდათ, ან ფუტკარი თუ იპოვეს“.

საქიანის ღელე- ადგ., ღელე

საჩქეფელა – ადგ., საჩქეფი

ტკოცის ყელი - ადგ., სახნავი, სათესი აღმოსავლეთის მხარეს. ,,სამყვირალოსთან ახლოს არის”, ახლა ჩვენ აღარ გვეკუთვნის“.

ტყის უბანი - ადგ; უბანი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ტყეში ცხოვრობდნენ, ახლაც ტყეა“.

ულუმბის გადასახვევი - ადგ., გზა მდ. ჭერათხეულას მარჯვენა მხარეს. უცუნის კლდე - ადგ., კლდე.

ქვედაუბანი - ადგ; უბანი

ქორთელმინდორი – ადგ., მინდორი, ,,ქორთელა თიკუნია კაცისა“. ქოჩორაულები//ქოჩორაული - ადგ., ვენახი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ვენახია გაშენებული, ბალახიანი, ჩირგვნარით იყო და ამიტომ დაარქვეს“.

შიმშილები - ადგ., ვენახი აღმოსავლეთის მხარეს. (ვენახია ჩაყრილი, უნაყოფო ადგილი იყო, მოსავალი არ მოდიოდა)

შუკაკიძეების ნამოსახლარი - ადგ., ნამოსახლარი მდ. ჭერათხეულას მარცხენა მხარეს. ,,კურტანიძეები და შუკაკიძეები ერთად ცხოვრობდნენ. შემდეგ ჩასახლდნენ ბროლოსანში და კლდისწყაროში“.

ჩიკვაიძეების ახო - ადგ., ახო.

ცერცვის ღელე - ადგ., ღელე.

ციგწყარო- ადგ., წყარო.

ციხეები – ადგილი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. იგივე ალის ციხე. ცხეთიჯვრის წმინდა გიორგი – ადგ., სალოცავი.

წყლიანი ღელე – ადგ., ღელე.

ჭერათხევი - მდინარე. ,,წინათ ყაჩაღები ბუდობდნენ აქ. ამხანაგები შეხვედრიან ერთმანეთს. –სად ინახავ თავსაო, - უკითხავს ერთს - ჭერათ ხევი მაქვს, - უთქვამს მეორეს. ჭერათხევის სათავეზე ნამოსახლარებია“. ჭიების ტყე - ადგ., ტყე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,მუხის ჭია იყო გაშვებული”.

ჭოშორის გადასახვევი - ადგ; მდ. ჭერათხეულას მარჯვენა მხარეს.

ჭოშორის წყალი – ღელე. იგივე რაც სამხარაძეების წყალი, ერთვის მდ. ჭერათხეულას მარჯვენა მხრიდან.

ხვლიკისაგოგავი//ხვლიკის საგოგავები - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,მწირი, საგოგავი მიწაა და ხვილკები დადიოდნენ. ვენახი აქვთ გაშენებული“.

ჯვარი - ადგ; უღელტეხილი, გადასასვლელი, საჩხერისა და ხაშურის რაიონების შორის საზღვარი. ,,აქ ცხოვრობდნენ გოგალაძეები, ნოზაძეები. შემდეგ გაასახლეს. ამჟამად ნაწილი დარუნდა”.

ჯირკნალი - ადგ., სათესი.

სოფელი ნ ა ბ ა ხ ტ ე ვ ი

აკოფაშვილის მიწა - ადგილი; ნაბახტევის 1782 წლის 4 ივლისის აღწერის მიხედვით სახელდება დერგვისში ფ ა ფ ა კ ე რ ა ს შ ვ ი ლ ი ს მიწის(3) საზღვრად.

აძვისი ტყე-ადგ; ნაბახტევის საზღვრის წიგნში (1803) აღნიშნულია: ,,აძვისის ტყეზედ შუა გზა, რომ ჩამოივლის, იმ გზის ზეით ნაბახტევის არის, იმის ქვევით აძვისის არის” .

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- სურამის ციხის ისტორიისთვის -

სურამელ მეციხოვნეზე გაცემული სიგელი

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისას, უნებლიედ წარმოვაჩინეთ ერთი საინტერესო სიგელი, რომელიც სურამის ციხის ისტორიაში ერთ საინტერესო ფურცელს შლის. მსგავსი ხელნაწერებით მდიდარია საქართველოს ეროვნული სახელმწიფო არქივი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და საქართველოს სხვადასხვა მუზეუმები, მათ შორის რეგიონული. ზემოთ მოხსენიებული სურამელ მეციხოვნეზე გაცემული სიგელი დაცულია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ჩვენი თხოვნით, თელავის მუზეუმიდან ელექტრონული ფორმით გადმოგვიგზავნეს ხელნაწერის, სკანირებული პირი. ეს გახლავთ ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ გაცემული ე. წ. „წყალობის წიგნი“, რომლის სახითაც შთამომავლობას ძვირფას ძეგლად შემორჩა მეფე ერეკლე II-ის, დარეჯან დედოფლის და ფარნავაზ ბატონიშვილის პირადი ხელრთვები და სახელობითი ბეჭდის ანაბეჭდები. ამავე სიგელზე დატანილია ბატონიშვილების, იულონისა და ალექსანდრეს ბეჭდების ანაბეჭდები. სიგელი საუკეთესო ისტორიული წყაროა სურამის ციხის ისტორიის შესწავლისათვის. სიგელის შესახებ პირველი ინფორმაცია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოიტანა ბატონმა თამაზ ლაცაბიძემ.

მოგვიანებით, დავუკავშირდით თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს და გავაცანით ჩვენი ინტერესი სიგელთან დაკავშირებით. თელავის მუზეუმის ფონდების მცველმა, ქალბატონმა მარინა ოხანაშვილმა გვაუწყა, რომ მუზეუმის ძირითადი საინვენტარო წიგნის მიხედვით, სიგელი არის #85. მუზეუმში შეტანილია 1929 წელს, სოფ. ზემო ხოდაშენში მცხოვრები გიორგი უთიაშვილისგან, უსასყიდლოდ. ზომა: 33 სმ X 19 სმ. საინვენტარო წიგნებში გატარებულია შემდეგნაირად: „იულონ ბატონიშვილის მიერ დაწერილი ევსუქი სულხანიშვილის საქმეზე 1777 წელს“. უნიკალური. მუზეუმის პირველ დირექტორს, ალ. მამულაშვილს გამოსაცემად აქვს მომზადებული დოკუმენტები 1935 წელს და იქაც შესულია. სიგელი სარესტავრაციოა, ძნელად იკითხება, დაწერილია ქაღალდზე, კარგი მხედრული ხელით. გამოყენებულია სასვენი ნიშნები.

წყალობის წიგნი, რომელიც გაცემულია ბატონიშვილების, იულონის, ალექსანდრეს, ლევანის და ლუარსაბის მიერ, დამტკიცებულია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს მიერ: „ქ. ჩვენ სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე ირაკლი მეორე წიგნს ამას ვამტკიცებთ ჩვენის შვილის მიცემულის წყალობასა ამას მაისის ა ქკს უპა“. სიგელის თავში მოთავსებული მეფის ხელრთვა დადასტურებულია სამეფო ბეჭდით, რომლის ანაბეჭდში გარშემო მხედრული, ხოლო შუაში ასომთავრული წარწერაა: „მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე, ერეკლე.“

იქვე, მარჯვნივ, ფურცლის კიდეზეა დედოფლის პატარა ბეჭედი, შიგ ამოკვეთილი ორსტრიქონიანი მხედრული წარწერით: „დედოფალი დარეჯან“, თავის მტკიცებას ადასტურებს დედოფალი: „ქ. ჩვენ სრულიად საქართველოს დედოფალი ბატონი დადიანის ასული დარეჯან ჩვენის შვილის იულონის წყალობას ბოძებულს წიგნსა ამას ვამტკიცებთ მაისის ბ ქკს უპა.“

მარცხნივ, ტექსტის გვერდით თავისუფალ არშიაზე ფარნავაზ ბატონიშვილის ხელრთვაა: „ჩვენ სრულიად საქართველოს სანატრელის მეფის ირაკლი მეორის ძე ფარნავაზ ამ წყალობის წიგნს ასე ვამტკიცებთ სექტემბერს ლ, ქკს უპზ“. იქვე დასმულია მისი ბეჭედი, რომელშიც ოთხსტრიქონიანი მხედრული წარწერაა: „ღთისმშობელმან წიაღით მფარნავაზ კეთილტა რტოდ მეც შემიწყნარა“.

სიგელის ტექსტის ბოლოში ორი ბეჭდის ანაბეჭდია. ერთერთი ეკუთვნის იულონ ერეკლე მეფის ძეს. ბეჭდის წარწერა ასეთია: „ტომ სქესით არანაკლისაგან, იულონ ირაკლისაგან“.

მეორე ბეჭედი ეკუთვნის ალექსანდრე ბატონიშვილს, მისი ბეჭდის წარწერა სამსტრიქონიანია, მხედრულით შესრულებული: „დავითის რტო სახელმძესა, ალექსანდრე მეფის ძესა“.

ტექსტი საგრძნობლად დაზიანებულია, მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს, ზოგან იგი ფერგადასულია ან ამოგლეჯილი, ამიტომ ძნელად იკითხება:

„ქ. წყალობითა ღთისათა ჩვენ დავითიან-ბაგრატოვანმან, ყოვლისა საქართველოისა მეფის ირაკლის მეორისა ძემან იულონ, ძმამან ჩვენმან მეფის ძემან ალექსანდრემ, და ძემან ჩვენმან ლევან, და ლუარსაბ, შევიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ყმას, სურამელს ლოტუაშვილს ბერს ძმასა შენსა არუთენას, შვილსა შენსა პაპას, და სახლისა მომავალსა შენსა, ასე რომ შენ ჩვენი დიაღ ერთგული მოსამსახურე კაცი იყავ და სურამის მამასახლისობა გეჭირა. იმ სახელის ჩამორთმევა ჩვენი ნება კი არ იყო, მაგრამ ასეთი ვინმე არ ეთქმოდა და იმისის შუამავლობით სურამის მამასახლისობა სხვას ებოძა, და მისმა სიმაღლემ სრულიად საქართველოს მეფემ ბატონმა მამა ჩვენმა და საქართველოს დედოფალმან ბატონმან დედა ჩვენმან ინებესო, და ჩვენ იმ სახელოს სამაგიეროდ წყალობად თქვენ სურამის მეციხოვნობა გიბოძეთ, რომ ის ციხე თქვენ უნდა გებარებოდესთ. როგორც მეციხოვნობის რიგი და მართებულია იმ წესით უნდა იქცეოდეთ. ამას გარდა კიდევ გიბოძეთ ციხის თავლინდრობა რაც იქ სათავლინდრო საქმე არის სულ თქვენ უნდა გებარებოდესთ და გეკითხებოდესთ. ამ სახელების მოვლაზედ დიდად ბეჯითად უნდა იყოთ, და რაც შეგეძლოს თქვენს გარჯას უნდა არას აკლებდეთ.

მარადის ის ციხე თქვენ გაბარიათ და თავლინდარიც თქვენა ხართ. ჩვენ ყოვლის სათხოვრიდამ ასე გაგვითარხნებიხართ, და გაგვითავისუფლებიხართ რომ არაფერი სათხოვარი თუ ბეგარა არა გეთხოებათრა. ამას გარდა ჯამაგირიც გიბოძეთ. წელიწადში სამი თუმანი. იქაურის ბაჟიდამ ყოველსა წელიწადს უნდა აიღებდეს. ჩვენ სამსახურზე რასაც ერთგულად კიდევ უფრო გარჯას გვაჩვენებთ, სხვა წყალობაც დაგემართებათ. ყოვლის კაცის აუცილებლად გქონდეს და გიბედნიეროსთ... ჩვენის ხელმწიფის მამისა, და ჩვენს ერთგულად მსახურსა შინა არაოდეს არ... აღიწერა ხელითა ესავ მდივნის ათაბეგოვისათა, აპრილის ით. ქკს უპა“.

სიგელის მიხედვით, მეფე ერეკლეს ძემ, იულონმა, მისმა ძმამ, ბატონიშვილმა ალექსანდრემ, ვაჟებმა, ლევანმა და ლუარსაბმა, მამის, ერეკლე მეფის და დედოფლის დამოწმებით, სურამელ ლოტუაშვილს ბერს, მის ძმა არუთენას, შვილს პაპას და მის შთამომავალთ სურამის მეციხოვნობა და ციხის თავლინდარობა უბოძეს და გაათავისუფლეს სათხოვარისა და ბეგარისგან. ამასთანავე, დაუწესეს ჯამაგირი-წელიწადში სამი თუმანი, რომელიც სურამის ციხესთან მდებარე საბაჟოს შემოსავლიდან უნდა აეღოთ.

ინფორმაცია „სურამელ მეციხოვნეზე გაცემული სიგელის“ შესახებ პირველად გასაჯაროვდა გაზეთ „თელავის მოამბის“ 1996 წლის 6 ოქტომბრის ნომერში აკად. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის, ლია თანდილაშვილის მიერ. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი წერილი საინტერესო იქნება სურამის ციხის ისტორიით დაინტერესებული პირებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის.

მზია ლობჟანიძე,

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, კერძოდ, ჩუმათელეთისა და იტრიის დასახლებაში სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

პროექტი ორი ერთეული ჭაბურღილის მოწყობას, ასევე საქლორატოროს და სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოებსაც ითვალისწინებს.

სამუშაოები ორ ეტაპად შესრულდება. პირველი ეტაპი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 63 კალენდარული დღის ვადაში უნდა დასრულდეს, მეორე ეტაპის სამუშაოები კი 2024 წლის პირველი მარტიდან დაიწყება და 238 კალენდარულ დღეს მოიცავს.

მუნიციპალიტეტის მერის თენგიზ ჩიტიაშვილის განცხადებით, “ჩუმათელეთსა და იტრიაში უმნიშვნელოვანესი პროექტი ხორციელდება. ადგილზე არსებული წყლის დებეტი სავსებით საკმარისია მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამიტომ, დაგეგმილი სამუშაოები, რომელთა ღირებულებაც 2 556 976 ლარია, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების პრობლემას მთლიანად გადაჭრის და მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება ამ უბნებში ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის.”

სტიქია გვიტევს... ზარალი დიდია

(გაგრძელება)

დეტალურად. 5 თებერვალს, შუადღემდე, მშვენიერი ამინდიც კი იყო. აი, შუა დღის მერე დაიწყო და დაიწყო. წვრილ წვიმას კოკისპირული ცვლიდა და ასე, გაუჩერებლად. 6 თებერვალს, მთელი დღე მოღებული ჰქონდა ცას პირი და ღამეც გაგრძელდა. ბუნებრივია, პატარა მდინარეები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ჭიას არ გააღვიძებენ, გადაირივნენ. განსაკუთრებით, შოლა გაგიჟდა. ქალაქის სამხრეთით მდებარე ამ პატარა მდინარემ (ზაფხულში ღელე რომ უფრო ეთქმის) თავისი მსახვრალი ხელი პირდაპირ ქალაქისკენ

მიმართა. დაიტბორა ასეულობით ოჯახი, პირველი სართულები მთლიანად წყლით აივსო, განადგურდა საყოფაცხოვრებო ტექნიკა. მთელი ღამე და მეორე დღე ადგილზე იყვნენ ქალაქის მერი და მისი მოადგილეები, სამაშველო

სამსახური. ადგილზევე გაეცვნენ ვითარებას შიდა ქართლის გუბერნატორი და მისი მოადგილეები. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებს უსაფრთხო ადგილზე გადაჰყავდათ მოქალაქეები. ლომოურის ქუჩა, რომელიც ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩაა, მთლიანად დაფარა წყალმა. ასეთივე დღეში აღმოჩნდა მიმდებარე ქუჩები და პატარა ჩიხები. ჩვენი გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე(გაზეთი დასაბეჭდად პარასკევ დღეს იგზავნება თბილისში), ამ სტატიის დაწერის მომენტში, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ზარალის ოდენობა, მაგრამ უხეში გათვლითაც კი, ზარალი რამდენიმე მილიონი ლარისა იქნება. თუმცა, თანხა რა მოსატანია იმ სტრესთან, რაც მოქალაქეებმა მიიღეს. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, რაც შოლა პირდაპირ ებრძვის ხაშურს. ანალოგიური სიტუაცია მოხდა 2011 და 2016 წლებშიც.

შედარებით „მსუბუქი“ ვითარებაა ქალაქის სხვა უბნებში. აქ მსუბუქი ფიგურალურადაა ნათქვამი, თორემ პირველ სართულზე წყალი 30 სანტიმეტრში იქნება თუ მეტრანახევარზე, დიდი განსხვავება არ უნდა იყოს. ჭალაუბანში, მაგალითად, რამდენიმე ოჯახს შეეხო სტიქია. იგივე მოხდა ე.წ. გადაღმა უბნებში. სტიქიამ არც მუნიციპალიტეტის სოფლები დაინდო. დაიტბორა ქვიშხეთის, ნაბახტევის, ალის, ოსიაურის, ცხეთიჯვრის, უწლევის, ზემო აძვისის მოსახლეობის ნაწილი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.-მცირე-მცირე პრობლემა თითქმის ყველა სოფელს შეეხო. ცალკე თემაა სურამი, სადაც მოვარდნილმა ღვარცოფმა მეწყერის პროვოცირება მოახდინა და ორმოც ოჯახს შეუქმნა პრობლემა. მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს, მეწყრული პროცესები სურამში, კონკრეტულად კი, ზინდისის უბანში, ჯერ კიდევ 2007 წელს დაიწყო. მაშინ იმდენად რთული სიტუაცია შეიქმნა, რომ მთელი უბნის დაცარიელებაზეც კი იყო საუბარი-მეწყრულმა პროცესებმა მთლიანად დაშალა რამდენიმე სახლი. პროცესი, პრაქტიკულად, მთელ უბანს შეეხო. თუმცა, შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების, გეოლოგების, მთავრობის სხვადასხვა

პრევენციული ჩარევით პროცესი შეწყდა და მოსახლეობამაც ამოისუნთქა. სამწუხაროდ, პროცესი, გარკვეულწილად, განახლდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორმოცი ოჯახი იძულებული გახდა, სახლები მიეტოვებინა,

მათზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ იზრუნა და ამ ოჯახების წევრები სხვადასხვა ლოკაციებზე განათავსა და ამ წუთისათვის ისინი უსაფრთხოდ არიან. 8 თებერვალს ადგილზე იმყოფებოდნენ სპეციალისტები, რომლებმაც შეისწავლეს არსებული სიტუაცია. ისინი კვალიფიციურად შეაფასებენ როგორც მომხდარს, ასევე, არსებულ რისკებს. გეოლოგიური სამსახურის შეფასების შემდეგ კი შესაბამისი სახელმწიფო სამსახური მეწყრული პროცესის აღმოსაფხვრელად შემჭიდროვებულ ვადებში იმოქმედებს.

დღეისათვის საგანგებო სიტუაციის სამსახური, შსს-ს მობილიზებული ჯგუფები, ადგილზე რჩებიან და მოსახლეობას და თითოეულ ოჯახს ეხმარებიან. მერიასთან არსებული სპეციალური შტაბი, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ხელმძღვანელობს, უკვე აღრიცხავს ზარალს. უმოკლეს ვადებში აღირიცხება თითოეული ოჯახის ზარალი. როგორც მერმა აღნიშნა, ქვეყნის მთავრობას სრული ინფორმაცია აქვს მომხდარის შესახებ და იმედოვნებს, რომ მოსახლეობა ზარალის მატერიალურ კომპენსაციას მიიღებს.

გ. გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.